ქუთაისის
უნივერსიტეტი

ქუთაისის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“
რექტორის 25/02/2019წ. №178 ბრძანებით
შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი
ლელა ქელბაქიანი

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ხარისხის შიდა კვლევების
პროცედურების სახელმძღვანელო

ქუთაისი, 2019 წელი.

ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში „სამსახური“) სისტემატურად ახდენს კვლევების შემუშავებასა და მათ გამოყენებას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას. პირველი ეტაპისთვის სამსახური ახდენს საკვლევი თემატიკის იდენტიფიცირებას. მეორე ეტაპზე სამსახური ატარებს კვლევას, რასაც შემდეგ ეტაპზე მოჰყვება მიღებული შედეგების გაანალიზება, ხოლო შემდეგი ეტაპისთვის შესაბამისი სამსახურებისთვის რეკომენდაციების გაცემა. მეხუთე ეტაპზე ხორციელდება გათვალისწინებული ცვლილებების შეჯამება, ხოლო ბოლო, მეექვსე ეტაპზე სამსახური საკვლევ აუდიტორიას უბრუნებს უკუკავშირს. ქვემოთ წარმოდგენილი სქემა 1 დეტალურად ასახავს სამსახურის მიერ კვლევების განხორციელების ეტაპებს.

სქემა 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კვლევის განხორციელების ეტაპები



სამსახური კვლევას ახორციელებს წინასწარ განსაზღვული შემდეგი პროცედურების მიხედვით (იხ. სქემა 2).

სქემა 2. კვლევის განხორციელების პროცედურები

პროცედურა 1. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მისიის, სტრატეგიული განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის მიხედვით სამსახური ყოველწლიურად ახდენს სისტემატიზებული საკვლევი თემების იდენტიფიცირებას (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. სისტემატიზებული კვლევების ცხრილი

სისტემატიზებული კვლევები	განსახორციელებელი თვე												კვლევის შინაარსი	კვლევის ტიპი
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12		
სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება			■				■						სტუდენტთა მიერ თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება.	რაოდენობრივი
სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა						■							სტუდენტთა მიერ პროგრამის, ინტერნაციონალიზაციის, მატერიალური რესურსების, სტუდენტური სერვისების, კურიკულუმის გარე აქტივობებით კმაყოფილების კვლევა.	რაოდენობრივი
აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა	■												აკადემიური პერსონალის მიერ განახლებადი დატვირთვის სქემის,სწავლა-სწავლების მეთოდების, პროგრამის, სამეცნიერო საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასება, ადმინისტრაციული საქმიანობით, პროგრამითა და მატერიალური რესურსებით კმაყოფილება.	რაოდენობრივი
თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა								■					ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მატერიალური რესურსების, ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხების, ელექტრონული საქმისწარმოებისა და	რაოდენობრივი

													სამუშაო გარემოთი კმაყოფილების კვლევა.	
მობილობით გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა													ცალკეული სამსახურების და საორგანიზაციო საკითხების შეფასება.	ფოკუს ჯგუფი
საერთაშორისო პროექტებში მონაწილე სტუდენტების კმაყოფილების კვლევა													ინტერნაციონალიზიაციის, საორგანიზაციო საკითხებისა და ცალკეული სამსახურების შეფასება.	ფოკუს ჯგუფი
ხელმძღვანელისა და სამუშაო პროგრესიის შეფასება													მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიერ ხელმძღვანელისა და სამუშაო პროგრესიის შეფასება (დამოუკიდებელი შემთხვევების არსებობის შემთხვევაში კვლევის განსახორციელებელი ვადები ექვემდებარება ცვლილებას).	რაოდენობრივი
კურსდამთავრებულთა კვლევა													უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ თანამედროვე რეგიონული დასაქმების ბაზრის, დასაქმებისა და უნივერსიტეტის შეფასება.ტარდება 2 წელიწადში ერთჯერ.	რაოდენობრივი
დამსაქმებელთა კველვა													დამსაქმებელთა მიერ (მათ მიერ დასაქმებული) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების/სტუდენტები სა სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შეფასება. ტარდება 2 წელიწადში ერთჯერ.	რაოდენობრივი

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკვლევი თემებისა, სამსახური მუდმივად ახდენს ახალი საკვლევი თემების იდენტიფიცირებას მოცემული პერიოდისა და სიტუაციური მოთხოვნილებების საფუძველზე. კერძოდ, ის საკვლევი თემები, რომლებსაც ზემოთ ჩამოთვლილი სისტემატიზებული კვლევები შეიძლება დამოუკიდებელი ცვლადის სახით შეიცავდეს, ან ნაკლები ყურადღება დაეთმო შესასწავლ თემის ირგვლივ/შინაარსში, შესაძლოა სიტუაციური მოთხოვნის შესაბამისად უფრო ღრმად, განსხვავებული

საკვლევი ტექნიკით იქნას შესწავლილი. მაგალითად, სტუდენტთა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც დამოუკიდებელი მონაცემის/ცვლადის სახით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა გვაძლევს, მომავალში თვისებრივი კვლევის ტექნიკით იქნას შესწავლილი.

პროცედურა 2. სამსახური ყოველი საკვლევი თემის იდენტიფიცირების შემდეგ ახორციელებს არსებული ლიტერატურისა და პრაქტიკის მიმოხილვას, რათა ხელი შეუწყოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მოდერნიზებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მის შესაბამისობას. აღნიშნული მიმოხილვისას გადაიხედება მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო დაწესებულებების მოქმედი პრაქტიკები; ასევე განვითარების მდგომარეობის მიხედვით გათვალისწინებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების გამოცდილება და შეჯამება ხორციელდება რეგიონული უმაღლესი აკადემიური განათლების პოლიტიკის გათვალისწინებით.

პროცედურა 3. კვლევის შემდეგ საფეხურზე ხორციელდება კვლევის ობიექტის არჩევა. სისტემატიზებული კვლევების ფარგლებში შერჩეულია 8 ობიექტი: სტუდენტები სწავლების ყველა საფეხურზე, სტუდენტთა შემდეგი სამი ჯგუფი - საერთაშორისო პროექტებში მონაწილე და მობილობით გადმოსული სტუდენტები, მაგისტრებისა და დოქტორანტების ჯგუფი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

პროცედურა 4. ზემოთ აღნიშნული სისტემატიზებული კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ დაზვერვითი გამოკვლევა, ფოკუს ჯგუფები და კონტენტ ანალიზი (ფოკუს ჯგუფის მართვის ინსტრუქცია იხილეთ დანართი 1-ის სახით).

პროცედურა 5. კვლევის დიზაინიდან გამომდინარე ხორციელდება შესასწავლი ცვლადების განსაზღვრა. კერძოდ, გამოიკვეთება დამოუკიდებელი ცვლადები, რომლებიც შემდგომ გამოხატავენ საკვლევი აუდიტორიის მრავალფეროვნებას, ხოლო დამოკიდებულ ცვლადებს თითოეული კვლევის კითხვარის შინაარსი განაპირობებს.

პროცედურა 6. კითხვარის შედგენა ხორციელდება შემდეგ ელექტრონულ პორტალზე - Google Forms. რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებისას კითხვარი შეიცავს შემდეგი ტიპის შეკითხვებს: დემოგრაფიული, ნეიტრალურ-ქცევითი, განწყობის გასაზომი, ცოდნის შესაფასებელი, შესრულების შესაფასებელი და ფსიქოგრაფიული. კითხვარი მოიცავს როგორც ღია, ასევე დახურულ შეკითხვებს. დახურული შეკითხვების შემთხვევაში გამოყენებულია რიცხვობრივი, კატეგორიული, მრავლობითი შერჩევისა და ორდინალური ტიპები და აგრეთვე ლიკერტის სკალა. კითხვარი შეიცავს კვლევის ეთიკური საკითხების ყველა აუცილებელ ასპექტს; კვლევის აუდიტორია იღებს ინფორმაციას კვლევის მიზნისა და მკვლევარის, პასუხების კონფიდენციალობისა და არაიდენტიფიცირებულობის, რიგ შემთხვევებში რესპოდენტის ანონიმურობის და უარის თქმის/კვლევიდან გამოთიშვის უფლების შესახებ. სამსახური შედგენილ კითხვარს რეკომენდაციების გაწევის მიზნით უგზავნის უნივერსიტეტის ფსიქოლოგს, რის

შემდეგაც იგი უკუკავშირის სახით საკუთარ მოსაზრებებს უზიარებს სოციოლოგიური კვლევების სპეციალისტს. სისტემატიზებული და სიტუაციური მოთხოვნილებების საფუძველზე შემუშავებული კვლევების კითხვარებს ამტკიცებს რექტორი (იხ. კითხვარები შემდეგი დანართების სახით: სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების კითხვარი - დანართი 2, სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი - დანართი 3, აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი - დანართი 4, თანამშრომელთა კმაყოფილების კითხვარი - დანართი 5, კურსდამთავრებულთა კითხვარი - დანართი 6, დამსაქმებელთა კითხვარი - დანართი 7,გამოცდების შეფასების კითხვარი - 8).

პროცედურა 7. შემუშავებული კითხვარი კვლევის აუდიტორიას ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და ეძლევა განსაზღვრული დრო მის შესავსებად, რის შესახებაც ისინი ინფორმაციას იღებენ ელექტრონულად. მონაცემების შეყვანა ხორციელდება google-ის ბაზაზე შექმნილ სპეციალური პროგრამის ფორმატში google forms-ში. აღნიშნულ პროგრამას გააჩნია რიგი უპირატესობები, მათ შორის: შეყვანის შეცდომების მნიშვნელოვანი შემცირება, forms ოპერატიულად რეაგირებს, რაც ნიშნავს, რომ ადვილია შესაქმნელად, დასარედაქტირებლად და ფორმებზე პასუხის გასაცემად, დიდ თუ მცირე ეკრანებზე, პასუხები აკურატულად და ავტომატურად გროვდება forms-ში, პასუხების რეალური დროის ინფორმაციით და დიაგრამებით, შესაძლებელია მონაცემების უფრო მაღალ დონეზე აყვანა ყველა მონაცემის sheets-ში დათვალიერებით.

პროცედურა 8. შევსებული კითხვარებისაგან მიღებულ მონაცემთა ანალიზს ახორციელებს სოციოლოგიური კვლევების სპეციალისტი, რომელიც მიღებულ შედეგებს გააცნობს სამსახურს/სამსახურის უფროსს.

პროცედურა 9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვის შედეგების ანალიზს (დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით) უგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანსა და პროგრამის ხელმძღვანელს.

პროცედურა 10. რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში აღნიშნული სამსახურები უკუგებით პასუხობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც თავის მხრივ უკუკავშირს აცნობს კვლევის აუდიტორიას. უკუკავშირის გავრცელების საშუალებად გამოყენებულია ელექტრონული ფოსტა ან/და სამსახურის მიერ ორგანიზებული წინასწარ შეთანხმებული შეხვედრა, სადაც დაინტერესებულ მხარეებს გაეცნობათ წინა წლების დინამიკა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და მისი მონიტორინგის შედეგები. კვლევის ჩატარების თითოეულ ეტაპზე სამსახური ხელმძღვანელობს და ითვალისწინებს უნივერსიტეტის შინაგანაწესით გაწერილ ეთიკურ ნორმებს.

პროცედურა 11. სამსახური ახორციელებს ყოველი კვლევის შედეგის სასწავლო პროცესში ინტეგრირების ანალიზს, რაც ითვალისწინებს სამსახურის მიერ საჭიროებათა მიხედვით კვლევის წარმოებას, თუ რამდენად იქნა მის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული.